ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5550774

ნომერი: AR1843963

თარიღი : 13.08.2021

გაცემის თარიღი : 16.08.2021

გაცნობის თარიღი : 16.08.2021

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი თხინვალა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ქურდაძე პ/ნ 01010007032
- კობახიძის 5ა

ნომენკლატურა :

- საჩუქარი პროექტები
- შერჩეული პროექტის მშენებლობის შესაძლებლობის განსაზღვრა მიწის ნაკვეთზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
72.16.33.093 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს გაუნაშენიანებელ არეალში - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №39-18 (15.03.2019) დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გეგმით გათვალისწინებული განაშენიანების კონტურს გარეთ. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის მე-2 მუხლის მე-17 პუნქტის თანახმად, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გეგმით გათვალისწინებული განაშენიანების კონტური წარმოადგენს საზღვარს ქალაქის განაშენიანებულ და გაუნაშენიანებელ ტერიტორიებს შორის და განისაზღვრება მის გარეთ არსებული ტერიტორიების საქალაქო სამშენებლო განვითარების შეზღუდვის პირდაპირ პირობად.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან ტერიტორია წარმოადგენს გაუნაშენიანებელ ტერიტორიას, რომელიც მოქცეულია განაშენიანების კონტურს გარეთ სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს AR1843963 (13/08/2021) განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.